# ხელისუფლებას ინფლაცია უჭირავს კბილებით, საზოგადოებას — სული

## რა იწვევს ინფლაციას ლადო პაპავას აზრით?



ვლადიმერ პაპავა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პარლამენტის წევრი, პროფესორი ლადო პაპავა ეკონომიკურ საკითხებში ისეთი ძლიერი ოპონენტია, რომ ტელეგადაცემა „პრაიმტაიმში" დებატებზე მასთან მარტო დაჯდომა თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრმაც ვერ გაბედა. ამიტომაც, საზოგადოებისათვის აქტუალური კითხვები — „რა იქნება ხვალ?" და „გვეშველება თუ არა რამე გაქანებული ინფლაციის პირობებში?" — სწორედ ასეთ პროფესიონალს დავუსვით ჩვენი გაზეთის სახელით. სატელეფონო ინტერვიუ, მართალია, მცირე ზომისაა, მაგრამ მკითხველისთვის ინფორმაციულად საკმაოდ საინტერესო.

**— ბატონო ლადო, ეკონომიური თვალსაზრისით უახლოეს მომავალში რა ელოდებათ ჩვენს მოქალაქეებს — გაუმჯობესდება თუ გაუარესდება მათი მდგომარეობა?**

— სამწუხაროდ, არსებული პირობებიდან გამომდინარე, ვერ დაგპირდებით, რომ ქვეყანაში ვინმეს მდგომარეობა გაუმჯობესდება. ეს, პირველ რიგში, გამოწვეულია ხელისუფლების არაპროფესიონალიზმით და პოპულისტური ღონისძიებებით.

**— დამეთანხმებით, ალბათ, რომ ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო დასაქმების სამთვიანი პროგრამაც. ხელისუფლება გვპირდება, რომ მეხუთე თვის ბოლოს ამ პროგრამაში ჩართული ადამიანები მესამე თვის ხელფასს აუცილებლად აიღებენ. გამოიწვევს თუ არა ამ თანხის საზოგადოებაში გადინება ინფლაციის ახალ ტალღას?**

— მთელ ამ პროგრამაში დადებითი მხოლოდ ის არის, რომ გაჭირვებულ ადამიანებს, გარკვეულ ეტაპზე, მდგომარეობა შეუმსუბუქდათ, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ მორიგი წინასაარჩევნო კამპანია და მეტი არაფერი. მოგეხსენებათ, რომ ამ კატეგორიას ეს ფული მუთაქაში შესანახად და სხვაგან გასაგზავნად არ სჭირდება. მიღებისთანავე ეს ფული წავა ისევ და ისევ სამომხმარებლო ბაზარზე და, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ინფლაციას.

**— ხელისუფლება გვამშვიდებს, რომ ინფლაცია არ მიდის შემაშფოთებელი ტემპით და ამ მხრივ ჩვენთან ისეთი მდგომარეობაა, ბევრი მეზობელი ქვეყანა შემოგვნატრის კიდეც...**

— ესეც მათ არაპროფესიონალიზმსა და პოპულიზმზე მიუთითებს. ისინი არ დებენ რეალურ სურათს, თუ როგორი ნიშნულია ინფლაციის. მათი ხელოვნურად შექმნილი სურათი ადამიანების ჯიბეებზე სხვა რეალობით აისახება და ამას თითოეული მოქალაქე გრძნობს ყოველდღიურად. მარტო იანვრის თვეში ინფლაციამ 3,2%-ს მიაღწია. გაცილებით უფრო მაღალია წლიური მაჩვენებელი, რომლის გამოსწორების წანაპირობაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს. ამასთან, სტატისტიკის დეპარტამენტი მთლიანად ხელისუფლების კონტროლქვეშაა და აბსოლუტურად არასწორი ინფორმაცია ქვეყნდება. მათი ინფორმაციით, 2,5% ინფლაციაა ზემოთაღნიშნულ იანვრის თვეში, რაც ობიექტური ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორსაა.

**— მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ სამუშაოდ გასული ოჯახის წევრების ე.წ. შემოწირულობით ახერხებს არსებობას. სწორედ ამ ნაწილს ძალიან აღელვებს ლართან მიმართებაში დოლარის კურსის დაცემა. როგორია თქვენი პროგნოზი, რა დონეზე შეიძლება გაგრძელდეს ეს პროცესი?**

— მე ვანგა არ გახლავართ და კურსის სიზუსტეზე წინასწარმეტყველებას ვერ დავიწყებ, მაგრამ მოგახსენებთ, რომ დოლარის გაუფასურებას ხელი შეუწყო გლობალურმა კრიზისმა ამერიკაში, რაც, ბუნებრივია, აწუხებს ამ ქვეყანასაც. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მათი პოლიტიკის შედეგია. სწორედ ამან გამოიწვია მისი გაუფასურება ჩვენშიც და ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება — თუმცა, რა ნიშნულამდე, ამის თქმა ნამდვილად არ შემიძლია.

**— თქვენთან სატელევიზიო დებატების დროს პრემიერმა, ამ ფონზე, ხალხს ევროს ყიდვა ურჩია. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?**

— თუ ბატონ ლადო გურგენიძეს დაუჯერებენ, მაშინ ხალხი შეიძენს ევროს და ევრო გაძვირდება. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ საზოგადოება არც ისეთი მდიდარია, ევროები შესანახად სახლში, ან თუნდაც ბანკში დააწყოს. ჩვენთან, ძირითადად, მიმოქცევაშია დოლარი და გარედან შემოდინებაც და შიგნით მიმოქცევაც, უდიდესწილად, სწორედ დოლარით ხდება.

**— როგორია თქვენეული პროგნოზი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე?**

— ეს დამოკიდებული იქნება არჩევნებზე და კიდევ იმ ფაქტორზე, რამდენად პროფესიონალური გუნდით დაკომპლექტდება ქვეყნის ხელისუფლება. დღეს თავად აცხადებენ, რომ ინფლაცია კბილებით უჭირავთ. იმ ფონზე, როცა საზოგადოებას კბილებით სული უჭირავს, ეს არგუმენტი დასამშვიდებლად არ გამოდგება.

ესაუბრა ინგა ვაშაყმაძე